გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 78
(11 637)

8 - 10 ოქტომბერი, 2002 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# კახი კალაძე: იტალიურ „კიანტის“ ქართული „ქინძმარაულისგან“ ვერ ვარჩევ

კახი კალაძე — ეს ის სახელი და გვარია, რომლითაც რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი იწყებს ხოლმე თანამედროვე ქართული ფეხბურთის ვარსკვლავების ჩამოთვლას. კახი კალაძე — ეს ის სახელი და გვარია, რომელიც ერთ რიგში დგას ალესანდრო ნესტასთან და პაოლო მალდინისთან. საქართველოს ნაკრების 24 წლის ლიდერს შაბათს უმძიმესი შეხვედრა ელის რუსეთის ნაკრებთან, სწორედ ამ თემას უკავშირდება „მილანის“ ქართველი ლეგიონერის ინტერვიუ გაზეთ „იზვესტიის“ ჟურნალისტთან.



— მატჩი იქნება, თუნდაც სატურნირო სიტუაციიდან გამომდინარე, — ამბობს კახი კალაძე, — პირველ თამაშში ჩვენ წავაგეთ შვეიცარიის გუნდთან, ახლა კი დამარცხების უფლება აღარ გვაქვს.

● ***შაბათის შეხვედრას, ალბათ, პოლიტიკური ხასიათიც ექნება.***

— მოდით, პოლიტიკას თავი დავანებოთ. მე ფეხბურთელი ვარ. არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს რუსეთთან და რუს ხალხთან, გარდა იმისა, რომ ჩვენ ურთიერთკონკურენციას ვუწევთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე.

● ***რა წარმოდგენა გაქვთ რუსეთის ჩემპიონატის ამჟამინდელ ნაკრებზე?***

— ჯერჯერობით, საერთო წარმოდგენა მაქვს, თუმცა ვიცი რამდენიმე ფეხბურთელის თამაშის მანერა, აგრეთვე ვალერი გაზაევის სტილიც.

● ***თქვენ უარი განაცხადეთ საქართველოს ნაკრებში თამაშზე მას შემდეგ, რაც თქვენი ძმა ლევანი მოიტაცეს დაუდგენელმა პირებმა. რამ გადაგაწყვეტინათ გუნდში დაბრუნება?***

— ძალიან რთული გადაწყვეტილება იყო, რასაც წინ უძღოდა ხანგრძლივი ფიქრი. საქართველოს ნაკრების ნამდვილმა გულშემატკივრებმა რა დააშავეს, მათ ხომ ჩემთვის არაფერი დაუშავებიათ. პირიქით, მძიმე წუთებში გვერდში ამომიდგნენ კიდეც.

● ***დავუბრუნდეთ პირველ შესარჩევ მატჩს, როცა საქართველოს ნაკრებმა ბაზელში წააგო 1-4, ნუთუ ასეთი ძლიერები არიან შვეიცარიელები?***

— არა, თამაში ჩვენ წავაგეთ — მწვრთნელებმაც და მოთამაშეებმაც. დასკვნები უკვე გამოტანილია და შეცდომებს აუცილებლად გამოვასწორებთ.

● ***ხუთი წლის წინ შედგა თქვენი დებიუტი საქართველოს ნაკრებში. რა შეიცვალა მას შემდეგ ამ გუნდში?***

— შემადგენლობა შეიცვალა, თუმცა თამაშით ისევ ჩვენეულ ქართულ ფეხბურთს ვთამაშობთ — ტექნიკურს, შემტევს, ემოციურს...

● ***რამიზნებიგაქვთმიმდინარეციკლში?***

— ისეთივე, როგორც რუსეთის ნაკრებს: გვინდა მოვხვდეთ ევროპის

(იხ. მე-3 გვ.)

# დღე სასწაული და დაუვიწყარი



ამაღლებული განწყობის, ჭეშმარიტად სიამაყის გრძნობის მომგვრელი იყო ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომელიც გასულ პარასკევს ჩატარდა. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრი, ზეიმის მთავარ ეპიცენტრად იქცა.

ბევრ იუბილეს დავსწრებივარ, მაგრამ ამ თარიღის აღნიშვნას მაინც სულ სხვა ელფერი და სულ სხვა განცდები ახლდა. ვფიქრობ, დარბაზში ამას ყველა გრძნობდა. ასეთ დროს სიტყვები უძლურია. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ჩემს გვერდით მჯდომმა ახალგაზრდა კაცმა, ვეტერანმა სპორტსმენმა, ღირსეულმა პიროვნებამ გელა ნიორაძემ ცრემლები ვერ შეიკავა, სცენაზე ჩვენი სახელოვანი პირველი ოლიმპიური ჩემპიონების, პრიზიორების და მონაწილეების გამოჩენისას. იყო ოვაციები, მისალმებები, 50 წლის წინანდელი ამბების მოგონება, ამქვეყნიდან წასულთა ტკივილით გახსენება, იყო იმედი, ოპტიმიზმი...

რედაქციამ გადაწყვიტა „ლელოს“ ამ ნომერში გამოექვეყნებინა იუბილეზე საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორის, სეოკის ალმასკომის წევრის ომარ გოგიაშვილის გამოსვლის ტექსტი, რომელიც უთუოდ იმსახურებს საერთო ყურადღებას (ტექსტის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით სპორტულ ჟურნალისტს საქართველოს რადიოდან ელენე ბილიხოძეს).

თენგიზ გაჩეჩილაძე

# ბატონებო და ქალბატონებო!

სხვა გამომსვლელთა მსგავსად, მეც ძალიან მოკლედ შემეძლო გამომეცხადებინა მათი გვარები, რომლებიც ოლიმპიურმა კომიტეტმა დააჯილდოვა, მაგრამ ორიოდე სიტყვით მაინც მინდა ჩემი მოსაზრება და ჩემი მადლიერება გამოვხატო დღევანდელი ღონისძიების ორგანიზატორების მიმართ.

ჩემთვის ვფიქრობდი, რა შეიძლება ამას დაერქვას, ანუ იმას, რისი მოწმეებიც დღეს ჩვენ ვართ. მე მგონია, რომ ეს არ არის მარტო სპორტისა და სპორტსმენების ზეიმი. ეს, პირველყოვლისა, არის მადლიერების ზეიმი — მადლობის ზეიმი. მადლიერება, გნებავთ პიროვნებისათვის, გნებავთ ადამიანთა ჯგუფისათვის, გნებავთ მთელი ერისათვის, არის უპირველესი ღირსება და ღირებულება, უნდობლობა და უმადურება კი ნებისმიერ ერს ისტორიულ პერსპექტივას უკარგავს.

არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი ეპიზოდი არტურ ლაისტის მოგონებიდან. „სიცოცხლის ბოლო დღეებში ილია ჭავჭავაძე აივნიდან საგურამოს სანახებს დადუმებული გადაჰყურებდა და როდესაც ეკითხებოდნენ თუ რაზე ფიქრობდა, — პასუხობდა: „უმადურებაზე, რომელიც დაღუპავს ჩემს ქვეყანასო“.

უმადურება ახლაც მოდაშია. მაგრამ, როგორც კეთილი გამოსხივება! გამოჩნდებიან ხოლმე პიროვნებები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ქვეყნის ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანები დააფასონ და ამ უდიდესი სიკეთით მოიხადონ მოქალაქეობრივი ვალი. აი კიდევ რა მინდა ვთქვა: აქ, ამ დარბაზში, მე ვხედავ მოქმედ სპორტსმენებს, ახალგაზრდა თაობას. მათთვის ჯერ ძალიან ნაადრევია იმაზე ფიქრი, რომ ოდესღაც ისინიც ამ დამსახურებული ადამიანების მდგომარეობაში იქნებიან, მაგრამ აქედანვე უნდა იფიქრონ, რომ დაფასებული სიბერე გარანტირებული ექნებათ. ერის პატივისცემა კი მხოლოდ ოფლით, იმდაგვარი შრომით მოიპოვება, რაც აი, ამ უფროსმა თაობამ გასწია თავის დროზე.

ერის გახარება მხოლოდ ერთეულების ხვედრია. აბა დაფიქრდით, რამდენ კაცს შეუძლია, საქართველოში, მთელი ქვეყანა ტელევიზორს მიაჯაჭვოს და მერე ადგეს კაცი აღფრთოვანებული, გახარებული, დაავიწყდეს საკუთარი გაჭირვება, ან ადგეს წელმოწყვეტილი, კიდევ უფრო დამძიმებული.

ძალიან ცოტას არგუნა ღმერთმა ის პატივი, რომ ასეთი გახარება შეეძლოს თავისი ერისა და სწორედ ეს პატივი ხვდათ ჩვენს სპორტსმენებს, რომლებიც დღეს აქ მრავლად არიან წარმოდგენილნი, და მათაც, რომლებმაც ეს მომავალში უნდა გააკეთონ.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი წინსვლის და მომავალი განვითარების კვალობაზე სახელმწიფოსაც სპორტის ხელშეწყობის მეტი შესაძლებლობა ექნება. კიდევ გამოჩნდებიან ახალი პატარკაციშვილები, ახალი თოფაძეები, ისინი უფრო მეტნი იქნებიან და, დამერწმუნეთ, აი ეს სიბერე, პატივცემული და დაფასებული სიბერე, ალბათ, მომავალში, უფრო მეტის ხვედრი იქნება.

არ მინდა დღევანდელი ჩვენი საზეიმო შეხვედრა სტატისტიკით გადავტვირთო, მაგრამ მე როგორც სპორტის აკადემიის წარმომადგენელმა და მისმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მინდა ერთი ციფრობრივი მონაცემი გაგაცნოთ. ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ჩვენი აკადემიის 101 კურსდამთავრებული და სტუდენტი მონაწილეობდა, მათგან 15-მა 18 ოქროს მედალი მოიპოვა, ამას გარდა, მოპოვებულია კიდევ 8 ვერცხლის და 19 ბრინჯაოს მედალი. ჯამში 45 ოლიმპიური ჯილდო. დამერწმუნეთ, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის უმაღლესი სკოლა ამგვარი შედეგებით ვერ დაიკვეხნის, მერე რა ტანჯვით, რა წამებით, არ შემრცხვება, ვთქვა, ეს მარტო ოფლით კი არა, სისხლით გახდა შესაძლებელი. ვისაც ეს არ უნახავს, ამას ვერ წარმოიდგენს. იმას ვამბობ, რომ დიდ სპორტულ სარბიელზე პოლიტიკური ძალების გარდა, უდიდესი ფინანსები ტრიალებს, რათა ერთი მედალი ჩაიტანონ თავიანთ ქვეყანაში და აი, ასეთ პირობებში, როცა ჩვენ გაგვანებივრეს ჩვენმა სპორტსმენებმა — ოლიმპიელებმა ჩვენგან მათ მადლობის მეტი არაფერი ეთქმით. მჯერა, რომ შესანიშნავი თაობის ტრადიციებს, ღირსეულად, თუნდაც ძალზე რთულ პირობებში, მაინც გააგრძელებს ჩვენი მომავალი თაობა. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს გახსნილ ოლიმპიურ დაფაზე ათენისთვის განკუთვნილი ადგილი რამდენიმე ღირსეული სპორტსმენის გვარით შეივსება.

ახლა კი ნება მომეცით უშუალოდ დავალება შევასრულო. 50 წელი პატარა დრო არ არის ადამიანის ცხოვრებაში და არსენ მეკოკიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ოლიმპიურ ჯილდოებს გადავცემ, ნინო დუმბაძის და ლევან სანაძის ოჯახებს...

# ოლიმპიური ჩემპიონის მადლობა

ჯერ ვერ გამოვსულვარ იმ ღრმა შთაბეჭდილებიდან, რომელიც დამიტოვა ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო ღონისძიებებმა. თავს მოვალედ ვთვლი, ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ვუთხრა ულრმესი მადლობა ბატონებს — საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ირაკლი მეძმარიაშვილს, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ჯანსუღ ბაგრატიონს, სეოკის ვიცე-პრეზიდენტს და ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტს ბადრი პატარკაციშვილს, ყველას, ვინც ყველაფერი გააკეთა ამ ისტორიული თარიღის ღირსეულად აღსანიშნავად და ესოდენ დააფასა საქართველოს პირველ ოლიმპიელთა ღვაწლი.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას!

მედეა (მზია) ჯუღელი

*სტუმრების მიღება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ირაკლი მეძმარიაშვილთან*








*ოლიმპიური ჩემპიონების დაფასთან დგანან (მარცხნიდან): რაფაელ ჩიმიშკიანი, გალინა მინიჩევა-შარაბიძე, მზია ჯუღელი და დავით ციმაკურიძე*

# ცნობები ფილადან

„ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციიდან (ფილა) მივიღეთ ცნობა, რომ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ელდარ კურტანიძე და მისი მწვრთნელი გია გალდავა მიწვეულია მსოფლიო ნაკრებში აშშ-ის ქალაქ ახალ ორლეანში (ლუიზიანას შტატი). პლანეტის რჩეულ ათლეტთა გუნდი ამ ქვეყნის ნაკრებს შეხვდება 8-9 ნოემბერს, ნავარაუდევია, რომ გია გალდავა არა მხოლოდ ჩვენი მოჭიდავის, არამედ მსოფლიო ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იქნება“ — შეგვატყობინა გუშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა. მანვე გადმოგვცა მეორე სასიხარულო ინფორმაცია. ჩვენი სახელოვანი ვეტერანი ფალავნები გიორგი სხირტლაძე დაბადებიდან 70 და ოთარ კანდელაკი დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ „ფილას დიდი ოქროს მედლით“ ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. ასეთი აღიარება მხოლოდ ერთეულთა ხვედრია, ვულოცავთ!



*გია გალდავა (მარცხნივ) და ელდარ კურტანიძე*

# 8 მედლით იუგოსლავიიდან



სამბოში ჩვენი სპორტსმენების წარმატებები აღარ გვაკვირვებს, რა ასაკში და რა რანგის შეჯიბრებაც უნდა იყოს, სპორტის ამ სახეობის ქართველი ოსტატები უმედლოდ არ რჩებიან. ამჯერად ასე იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჭაბუკთა და ახალგაზრდების მსოფლიო პირველობაზე ჩვენი ნაკრები გუნდები, ფინანსური ხელმოკლეობის გამო, არასრული შემადგენლობით გაემგზავრნენ. იუგოსლავიის ქალაქ არანჟელოვაციდან ჩვენები შინ 8 მედლით ბრუნდებიან. ესენი არიან ჭაბუკთა პირველობაში გამარჯვებული ზესტაფონელი გიორგი კაკოიშვილი (75 კგ), მეორე პრიზიორები — თბილისელები რეზო ჩიკოიძე (81) და ვლადიმერ სამუშია (87), ბრინჯაოს მედალოსნები — კასპელები ზურაბ ოდიშაშვილი (48) და კახა მამაცაშვილი (56), საგარეჯოელი უშანგი კუზანაშვილი (52), თბილისელი დავით ფოთოლაშვილი (65), ზესტაფონელი პაატა ნასრაძე (მძიმე). გუნდურ პირველობაში ჭაბუკთა ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა (დაწვრილებით შემდეგ ნომერში).

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 10 თვე დარჩა

torino 2006

## ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 4 თვე გვაშორებს

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

*პასუხი ლლ-ს*

### გაზეთ „ლელოს" რედაქტორს

**ბატონო თენგიზ!**

გაზეთ „ლელოს" №70-ში გამოქვეყნებული წერილის, „სკოლის ეზოში ავტოსადგომს ხსნიან — „**SOS**"-ის პასუხად, რომელიც ეხებოდა ქ. თბილისის 187-ე საშუალო სკოლის ღია სპორტულ მოედანზე ავტოსადგომის მშენებლობას, გაცნობებთ შემდეგს:

ა) 2002 წლის აპრილის ცნობილი მიწისძვრის შემდეგ სკოლა მწვავე ავარიულ მდგომარეობაშია (III კატეგორია). კომისიის დასკვნის საფუძველზე შენობის მარჯვენა ფლიგელი და სპორტული დარბაზი გამაგრების სამუშაოების ჩატარებამდე დროებით დაკეტილია;

ბ) სკოლის დირექციის 2002 წლის 14 მაისის მიმართვით განათლების განყოფილებამ 2002 წლის 14 მაისის №2/518 წერილით აღძრა შუამდგომლობა ქ. თბილისის მერიის წინაშე, რათა სკოლის მიმდებარე გამოუყენებელი ტერიტორია 700 მ² ფართის ოდენობით დაემაგრებინა სკოლისათვის, რომელმაც დაუმაგრა აღნიშნული ფართი;

გ) ქ. თბილისის განათლების საქალაქო მეურნეობის სამსახურის 2002 წლის 16 ივლისის №631/4-04 წერილით, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველომ 2002 წლის 27 აგვისტოს №29 ოქმით ინდივიდუალურ მეწარმე რ. ყოლბაიას (შპს „აუდიტ-ოლიმპი") საიჯარო წესით დაუმტკიცა 187-ე საშუალო სკოლის მიერ გამოუყენებელი ფართი 700 მ² ოდენობით სამეურნეო საქმიანობისათვის, სადაც მითითებული არ არის, რისთვის იქნას გამოყენებული აღნიშნული ფართი;

დ) ქ. თბილისის განათლების განყოფილება ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ სკოლის ტერიტორიაზე არ დაუშვებს არავითარი ავტოსადგომის მოწყობასა და მშენებლობას. რაც შეეხება ღია სპორტული მოედნების მოწყობის საკითხს, სკოლის დირექტორს მიეთითა და მიეცა 20 (ოცი) დღის ვადა მათ წესრიგში მოსაყვანად.

პატივისცემით,

*ე. მაჩაიძე,*
*განათლების განყოფილების უფროსი*

# ლიხს იქით და ლიხს აქეთ... სპორტი ყველასათვის

## სპორტისა და ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ქუთაისში

მძლეოსნური გარბენით დაიწყო ამ ღირსშესანიშნავი დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელმაც სტარტი დავით აღმაშენებლის მოედნიდან აიღო. შემდეგ სპორტული ღონისძიებების ეპიცენტრად ქალაქის ცენტრალური ბაღი იქცა, სადაც გაიმართა პაექრობები მკლავჭიდში, კარატეში, აკრობატიკაში, ფარიკაობაში, ჭადრაკსა და სიმძიმეების აწევაში. გამარჯვებულებს პრიზები, თითოეულ მონაწილეს კი სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. სპორტის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ქუთაისის სპორტის საქალაქო კომიტეტი (თავმჯდომარე თორნიკე კენჭაძე) და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რეგიონალური ორგანიზაცია (თავმჯდომარე რეზო რობაქიძე).

ნაზი რეხვიაშვილი, ქუთაისი

## უსპორტოდ ზეიმი რა ზეიმია...

### ბათუმის მერიამ, სპორტის დეპარტამენტმა, აჭარის სხვა ორგანიზაციებმა, ჩინებულად უმასპინძლეს მემედ აბაშიძის დღეებს

სახელოვანი მამულიშვილის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის მემედ აბაშიძის ღვაწლი ყველამ უნდა დააფასოს, რათა შთამომავლობამ იცოდეს დედა საქართველოსთვის, რაც ამ პიროვნებამ გააკეთა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მემედ აბაშიძის დღეები, რომლის პროგრამა სპორტულ ღონისძიებებსაც მოიცავს. ამჯერად შეჯიბრებები გაიმართა მშვილდოსნობაში, ძიუდოში, ჭადრაკში; საჩვენებელი გამოსვლები — ტანვარჯიშში ფარიკაობასა და ძალოსნობაში.

მშვილდოსანთა საერთაშორისო ასპარეზობაში, რომელიც ოლიმპიური სისტემით ჩატარდა, საქართველოს ნაკრების, თბილისისა და აჭარის გუნდების გარდა, მონაწილეობდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლები. პირველ დღესვე ქალთათვის საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა და პირველობა მოიპოვა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ხათუნა ფუტკარაძემ (საქართველოს ნაკრები, ბათუმი) — 644 ქულა. მეორე იყო მისივე თანაგუნდელი ასმათ დიასამიძე (ხელვაჩაური), მესამე — თბილისელი ია ტალახაძე. ***გუნდური:*** 1. საქართველოს ნაკრები — 1868, 2. აჭარის და თბილისის ერთობლივი ნაკრები — 1605, 3. სომხეთის ნაკრები — 1389. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები მთლიანად დაკომპლექტებული იყო აჭარელი სპორტსმენებით. ვაჟთა შორის იგივე 70 მ. დისტანციაზე პირადი პირველობის ადგილები ასე განაწილდა: 1. არტურ ბაშიკიანი (სომხეთი) — 633, 2. რომან ვენგოროვი (აზერბაიჯანი) — 612, 3. ლადო ბოლქვაძე — 607. გუნდური: 1. სომხეთი — 1735, 2. აზერბაიჯანი — 1725, 3. აჭარა — 1699. ფინალში ქალთაგან ოლღა ლადიგინამ და ასმათ დიასამიძემ (ორივე — აჭარა) იასპარეზა. 108 ქულით გაიმარჯვა ლადიგინამ, დიასამიძეს 90 ქულა ჰქონდა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ფუტკარაძემ აჯობა ტალახაძეს. გუნდური: 1. საქართველოს პირველი ნაკრები, 2. აჭარა, 3. სომხეთი. ვაჟებში პირადი პირველობის ფინალში ლადო ბოლქვაძემ დაამარცხა სომხეთის ჩემპიონი არტურ ბაშიკიანი, მესამე ადგილი წილად ხვდა ვენგეროვს. გუნდური: 1. საქართველო, 2. სომხეთი, 3. აზერბაიჯანი.

ძიუდოში ჭაბუკთა ორ ასაკში (1987-89, 1990-92) გაიმართა ასპარეზობა. 120 მოზარდი გამოვიდა ტატამზე. ასეთი მასობრივი შეჯიბრება სპორტის ამ სახეობაში ბათუმში ჯერ არ ჩატარებულა. ჭადრაკში ამხანაგური ტურნირიც გაიმართა თურქეთის ორდუს ვილაეთის გუნდთან გაიმარჯვეს აჭარლებმა 18:2. მხატვრულ ტანვარჯიშში მაყურებელი მოიხიბლა ქვეყნის ნაკრების წევრის ბათუმელ ვანდა კერესელიძის საჩვენებელი გამოსვლით, შემდეგ გაიმართა მოფარიკავეთა და ძალოსანთა საჩვენებელი შეჯიბრებები.

ივანე კუსიდი,
ბათუმი

## პროფკავშირს კარგი მეხსიერება აქვს





ფოტოები რობერტ ბაგოიანისა



საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი არც მშრომელთა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობაზე ზრუნვის ძველ ტრადიციას ივიწყებს და თავის მუშაკთათვის სპორტულ თამაშებსაც ატარებს. თბილისის წლევანდელი თამაშები უფრო მასობრივი და ორგანიზებული გამოდგა ვიდრე პირველი. რაც მთავარია, ფინალურ ეტაპს წინ უსწრებდა ადგილზე პირველი ეტაპის შეჯიბრებები. ფინალში 24 პროფკავშირული ორგანიზაციის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. პროგრამაში იყო ბაგირის გადაძალვა, ცურვა, სროლა, ნარდი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი. ყველა სახეობაში იასპარეზა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, კვლევითმა ინსტიტუტმა, სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურმა, ტანვარჯიშის ფედერაციამ. საერთო გუნდურ ჩათვლაში კი პირველობა სპორტსაზოგადოება „შევარდენს" ხვდა, მეორე იყო აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტი, მესამე — სპორტის აკადემია. გაგაცნობთ სახეობების მიხედვით გამარჯვებულებს და პრიზიორებს. ***ჭადრაკი:*** 1. „შევარდენი", 2. ჭადრ. ფედ. 3. აფხაზეთი; ***ბაგირის გადაძალვა:*** 1. „შევარდენი, 2. აფხაზეთი, 3. სპ. აკად; ***მაგიდის ჩოგბურთი:*** 1. „შევარდენი", 2. აფხაზეთი, 3. კვლ. ინსტ; ***ნარდი:*** 1. სპ. აკად, 2. „შევარდენი", 3. სპ. აკად; ***ტყვიის სროლა:*** 1. სროლის ფედ; 2. აფხაზეთი, 3. სპ. აკად; ***ცურვა:*** 1. „ლაგუნავერე", 2. სპორტ. და ტურიზ. საქალ. სამსახური, 3. „შევარდენი".

„უკვე საკმაო გამოცდილება შევიძინეთ, ამიტომ ამ ღონისძიებას გაისიდან საქართველოს მასშტაბით ჩავატარებთ და დედაქალაქის თამაშების მსგავსად, ტრადიციულს გავხდით" — უთხრა „ლელოს" კორესპონდენტს საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ იროდი ბეჟაშვილმა.

ირაკლი სარალიძე

## ხობში ახალი ტურნირი მკვიდრდება

**ხობში კიდევ ერთ ტურნირს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ვეტერანი მოჭადრაკის, რაიონის ყოფილი ჩემპიონის იური ბახიას ხსოვნას ეძღვნება. შეჯიბრებაში 36 მოჭადრაკე მონაწილეობდა (მთავარი მსაჯი ირაკლი გეთია).**

**ქალთა შორის I - II ადგილები გაიყვეს ხობის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა, სოფო ლატარიამ და სოფო ბაბილუამ, მესამე იყო სოფო მიქაუტაძე. ვაჟთა შორის პირველი იყო ომარ გელაშვილი, მეორე — ირაკლი გოგენია (ორივე — სპორტსკოლა), III — IV ადგილები რაიონის მრავალგზის ჩემპიონმა ბადრი ლომაიამ და გიორგი დემიდოვმა გაინაწილეს.**

ანზორ სანიკიძე
რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

# ერთად ვართ, მასწავლებლებო!



*მძლეოსნურ გარბენში გამარჯვებულები და პრიზიორები შეჯიბრების ორგანიზატორებთან, მწვრთნელებთან, მსაჯებთან, სპორტსკოლების ხელმძღვანელებთან*



*ფოტოები რობერტ ბაგოიანისა*

ჩვენში სპორტის და მასწავლებლის დღე ერთმანეთს ემთხვევა. ცალცალკე რომ ყოფილიყო, ორივე დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებებს სპორტი მაინც დაამშვენებდა. ახლა, მით უმეტეს.

ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ, ფიზიკური აღზრდისა და დ/ს მომზადების სექტორმა 6 ოქტომბერს დედაქალაქის საშუალო სკოლების 2000-მდე მოზარდი გამოიყვანა საასპარეზოდ მძლეოსნურ კროსში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში და მინი ფეხბურთში.



გოგონათა მძლეოსნურ გარბენში პირველი ადგილი განათლების განყოფილების №3 ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მოსწავლემ რუზანა აივაზიანმა მოიპოვა — 1.44.2, მეორე იყო №8 სპორტული სკოლის მოსწავლე თამარ თოდუა — 1.45.2, მესამე — №7 სპორტული სკოლის წარმომადგენელი — ეკა გიგაშვილი — 1.46.9. ბიჭებში კი ადგილები ასე განაწილდა: 1. დათო აბრამიშვილი — 1.34,6, 2. გიორგი იორდანიშვილი, 3. თორნიკე ლაშხი (სამივე — №8 სპ. სკოლა).

გამარჯვებულებს ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, მინი ფეხბურთში, მძლეოსნურ გარბენში პრიზები და საჩუქრები გადასცა ქ. თბილისის განათლების განყოფილების უფროსმა ედიშერ მაჩაიძემ.

თამუნა ჯანვერდაშვილი







კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## „ბასკო“ წარმატებით იწყებს

**9 გუნდის მონაწილეობით დაიწყო საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვებით დაიწყო ქვეყნის ჩემპიონმა ბათუმის „ბასკომ“ თბილისური ვოიაჟი, თუმცა პირველ მატჩში თსუსთან მოგება გაუჭირდა. მესამე მეოთხედამდე გამოკვეთილი უპირატესობა არც ერთ გუნდს არ ჰქონდა, ბოლო მეოთხედში ბათუმელებმა მაინც შეძლეს გამარჯვება 107:84, მეორე შეხვედრა „ბასკომ“ სტუ-„ჯეოსელს“ მოუგო. 71:56. სხვა მატჩები: დინამო — აკადემია 100:60, სტუ-„ჯეოსელი — ქუთაისი 116:76. აზოტი — მაკაბი 97:85, სსუ — ქუთაისი 59:73, აკადემია — მაკაბი 79:93.**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 2 | 2 | 0 | 178-140 | 4 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 100-60 | 2 |
| სტუ-ჯეოსელი | 2 | 1 | 1 | 172-147 | 2 |
| აზოტი | 1 | 1 | 0 | 97-85 | 2 |
| მაკაბი | 2 | 1 | 1 | 178-176 | 2 |
| ქუთაისი | 2 | 1 | 1 | 149-175 | 2 |
| სსუ | 1 | 0 | 1 | 59:73 | 0 |
| თსუ | 1 | 0 | 1 | 84:107 | 0 |
| აკადემია | 2 | 0 | 2 | 49:193 | 0 |

### კალათბურთში ვაჟთა უმაღლესი ლიგის 2002-2003 წლების XII ჩემპიონატის კალენდარი

I წრე

*12 ოქტომბერი, შაბათი*
სსუ — აკადემია 12.00
დინამო — აზოტი 13.45
ბასკო — მაკაბი 18.00
*13 ოქტომბერი, კვირა*
აკადემია — სტუ-ჯეოსელი 11.30
აზოტი — სსუ 13.15
თსუ — დინამო 15.00
ქუთაისი — მაკაბი 18.00
*19 ოქტომბერი, შაბათი*
აკადემია — თსუ 11.00
სსუ — ბასკო 12.45
დინამო — ქუთაისი 14.30
მაკაბი — სტუ-ჯეოსელი 16.15
*20 ოქტომბერი, კვირა*
სსუ — მაკაბი 11.00
თსუ — ქუთაისი 12.45
დინამო — ბასკო 14.30
აზოტი — აკადემია 16.15
*26 ოქტომბერი, შაბათი*
თსუ — მაკაბი 13.00
დინამო — სტუ-ჯეოსელი 14.45
ქუთაისი — აზოტი 18.00
*27 ოქტომბერი, კვირა*
სსუ — დინამო 13.00
სტუ-ჯეოსელი — თსუ 14.45
ბასკო — აზოტი 18.00
*2 ნოემბერი, შაბათი*
თსუ — სსუ 11.30
მაკაბი — დინამო 13.15
სტუ-ჯეოსელი — აზოტი 15.00
ბასკო — ქუთაისი 18.00
*9 ნოემბერი, შაბათი*
სტუ — სსუ 13.00
აზოტი — თსუ 14.45
ქუთაისი — აკადემია 18.00
*10 ნოემბერი, კვირა*
ბასკო — აკადემია 18.00

II წრე

*24 ნოემბერი, კვირა*
დინამო — აკადემია 13.00
სსუ — სტუ-ჯეოსელი 14.45
აზოტი — მაკაბი 16.30
ბასკო — თსუ 18.00
*25 ნოემბერი, ოთხშაბათი*
აკადემია — აზოტი 13.00
მაკაბი — სსუ 14.45
სტუ-ჯეოსელი — დინამო 16.30
ქუთაისი — თსუ 18.00
*30 ნოემბერი, შაბათი*
მაკაბი — ქუთაისი 11.00
აკადემია — ბასკო 12.45
დინამო — სსუ 14.30
თსუ — სტუ-ჯეოსელი 16.15
*1 დეკემბერი, კვირა*
აკადემია — ქუთაისი 11.00
სსუ — თსუ 12.45
სტუ-ჯეოსელი — მაკაბი 14.30
აზოტი — ბასკო 16.15
*7 დეკემბერი, შაბათი*
მაკაბი — აკადემია 13.00
სსუ — აზოტი 14.45
დინამო — თსუ 16.30
ბასკო — სტუ-ჯეოსელი 18.00
*8 დეკემბერი, კვირა*
სსუ — აკადემია 13.00
მაკაბი — თსუ 14.45
აზოტი — დინამო 16.30
ქუთაისი — სტუ-ჯეოსელი 18.00
*14 დეკემბერი, შაბათი*
სტუ-ჯეოსელი — აკადემია 13.00
მაკაბი — ბასკო 14.45
თსუ — აზოტი 16.30
*15 დეკემბერი, კვირა*
აკადემია — თსუ 13.00
დინამო — მაკაბი 14.45
აზოტი — ქუთაისი 16.30
*17 დეკემბერი, სამშაბათი*
აზოტი — სტუ-ჯეოსელი 15.00
*21 დეკემბერი, შაბათი*
ქუთაისი — დინამო 16.00
ბასკო — სსუ 18.00
*22 დეკემბერი, კვირა*
ქუთაისი — სსუ 16.00
ბასკო — დინამო 18.00
*23 დეკემბერი, ორშაბათი*
ბასკო — ქუთაისი 18.00

## «რეალმა» საიუბილეო მატჩი წააგო

**მადრიდის „რეალის“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდის დაარსების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა შოუ-მატჩი „რეალსა“ და ევროლიგის „ყველა ვარსკვლავთა“ ნაკრებს შორის. მატჩი ევროლიგელებმა მოიგეს 91:85 (22:21, 15:23, 21:14, 27:33).**

## ჩემპიონთა ლიგა მინიფეხბურთში

**I ტური:** ნიკელი — ფრეიშეირა 4-1; იბერია — ოლიმპია 3-0

**II ტური:** ნიკელი — ოლიმპი 9-0; იბერია — ფრეიშეირა 2-4

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიკელი | 2 | 2 | 0 | 0 | 13-1 | 6 |
| ფრეიშეირა | 2 | 1 | 0 | 1 | 5-6 | 3 |
| იბერია | 2 | 1 | 0 | 1 | 5-4 | 3 |
| ოლიმპი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-12 | 0 |

## ბელარუსიიდან ნოლი ქულით

მინსკსა და ბორისოვოში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 17 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. სამწუხაროდ, ქართველი ჭაბუკები სლავებს ვერ გაუმკლავდნენ და სამივე შეხვედრა წააგეს იუგოსლავიასთან 0-2. ხორვატებთან 1-3, მასპინძლებთან ბელარუსებთან 1-2. ჯგუფიდან შემდგომ ეტაპზე ხორვატები და იუგები გავიდნენ.

## ერთმანეთს გაუღიმეს...

კიშინიოვის შეხვედრაზე რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებმა კიდევ ერთხელ დაუდასტურეს ფართო საზოგადოებას, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ამ ორი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის 12 ოქტომბერს თბილისში შედგება. თურმე, შეხვედრაზე შევარდნაძეს უხუმრია: „მატჩი ჩატარდება, მაგრამ მე ვერ ვითამაშებო“, პუტინს კი უთქვამს: „მე ვითამაშებ, ოღონდ სხვა თამაშშიო“.



# „მოგიკვდეთ ბიჭი გელოო, თუ გაგატანოთ ლელოო!“



## ლელობურთის გახსენება

ძველ ქართულ ხალხურ თამაშებს შორის, ლელობურთი ერთ-ერთი მამაცური და საინტერესო სპორტული სანახაობაა. მას ჭეშმარიტად ქართველი ვაჟკაცები თამაშობდნენ. საქართველოში ლელობურთი, როგორც სპორტული შეჯიბრება, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაგვიბრუნდა. მაშინ, თანამედროვე ლელობურთის თამაშის წესები, ამ საქმის ენთუზიასტმა გ. ხერხეულიძემ შეადგინა. საერთოდ, სპორტის ეროვნული სახეობების აღსადგენად დიდი შრომა გასწიეს ისაკ კიზირიამ და კაპიტონ ნაჭყებიამ, პოლიკო მიქაძემ. იმ დროს ლელობურთს ძირითადად ჩოხატაურელები, დიდჯიხაიშლები, ქობულეთელები და მარტვილელები თამაშობდნენ. საქართველოს პირველობაზე სწორედ ეს ოთხი გუნდი ეცილებოდა ჩემპიონობას ერთმანეთს. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ რესპუბლიკის უცვლელი ჩემპიონები ჩოხატაურელი ლელობურთელები იყვნენ. იშვიათად თუ შეეცილებოდა მათ სხვა გუნდი ჩემპიონის ტიტულს. ომისშემდგომ პერიოდში ჩოხატაურის რაიონს შოთა ჭანუყვაძე თავკაცობდა. მისი ხელმძღვანელობით, მაშინ, ჩოხატაურში, ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. სპორტის ეროვნულ სახეობებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, კერძოდ, ლელობურთს, ისინდს, მარულას, ცხენბურთს და ა.შ. ჩოხატაურში ლელობურთის აღდგენას ხელმძღვანელობდა დიმიტრი ცინცაძე და დორმინდო ჩხიკვაძე. სულ მალე სწორედ მათი ძალისხმევით შეიქმნა ლელობურთელთა თითქმის უძლეველი გუნდი. ამ სახელოვანი გუნდის წევრები იყვნენ: არტემ ცინცაძე, ბიჭიკო ცინცაძე, კოლია ცინცაძე, იუსტინე ცინცაძე, პეტრე მინდაძე, სოსო მინდაძე, შატული მინდაძე, გელო ჭაყელი, დავით ყარაჯაშვილი, სერგო ყარაჯაშვილი, ავთანდილ აცანელიძე, გივი ბენდელიანი. ცხადია, ეს გუნდის სრული სია არ არის, რა თქმა უნდა, ყველა ვერ მოვიგონე და მკითხველმა უნდა მაპატიოს.

დღესაც თვალწინ მიდგანან მთასავით შეუდრეკელი სამი ვაჟკაცი არტემ ცინცაძე, პეტრე მინდაძე და გელო ჭაყელი. ეს უკანასკნელი გახურებული თამაშის დროს, მოწინააღმდეგის გასაგონად თურმე ხმამაღლა ხშირად ამბობდა: „მოგიკვდეთ ბიჭი გელოო, თუ გაგატანოთ ლელოო“. დიახ, ისინი მართლაც, რომ შეუდრეკელი და მუხლმაგარი ვაჟკაცები ბრძანდებოდნენ.

1947 წელს ჩოხატაურში, ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა გადაიღეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ლელოს გატანა“. ფილმი ბუნებაში, მდინარე სუფსის ჭალებშია გადაღებული და არა სტადიონზე. ფილმში რეჟისორებმა, ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ღრმად მოხუცი პიროვნება, უბადლო აგრონომი ალექსანდრე შარაშიძე გადაიღეს. ის ამ ფილმის მთავარი ფიგურა იყო. როგორც მოხუცებისაგან მაქვს დაფიქსირებული, „ლელოს გატანა“ ჩოხატაურში წელიწადში ორჯერ იმართებოდა: შობისა და აღდგომის დღესასწაულების დღეებში. თუ რატომ არ თამაშობდნენ „ლელოს გატანას“ წელიწადის სხვა თვეებში, მიზეზს ისინი ასე განმარტავდნენ: აპრილიდან გიორგობისთვემდე ჭალებში სიმინდი და ღომი ეთესა და ხომ არ გადათელავდნენო. მაშინ ერთმანეთს სოფლები ეჯიბრებოდნენ, ამასთან, ძალიან საინტერესო იყო აგრეთვე ცოლიანებისა და უცოლოების შერკინება. ახლა ჩვენში ლელო ბურთის გატანის ჟამი არ არის, მაგრამ მერწმუნეთ, იქნება, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება და ლელობურთს კვლავ ითამაშებენ საქართველოში.

დურმიშხან ცინცაძე

*სურათზე: თეთრ მაისურებში თამაშობენ ჩოხატაურელები. მარცხნიდან: პეტრე მინდაძე, არტემ ცინცაძე იბრძვიან ბურთისთვის; შემდეგ არიან — იუსტინე ცინცაძე, სერგო ყარაჯაშვილი და დიმიტრი ცინცაძე; დანარჩენები უცნობია (ფოტო ავტორის არქივიდან).*

## კუნმა შემადგენლობა არ შეცვალა

შვეიცარიის ნაკრები ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე და მესამე ტურში ალბანეთისა და ირლანდიის ნაკრებების წინააღმდეგ იმავე შემადგენლობით ითამაშებს, რითაც საქართველოს ნაკრებს დაუხვდა ბაზელში და დაამარცხა 4-1. შვეიცარიელთა მთავარი მწვრთნელის კუნის განცხადებით, მან გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში რაიმე ცვლილებების შეტანა არ მიიჩნია საჭიროდ და ახლა ორივე მატჩში მინიმუმ ოთხი ქულის აღებას გეგმავენ. აი, ვინ გამოიძახა კუნმა მნიშვნელოვანი მატჩების წინ: ***მეკარეები:*** შტილი („ბორუსია“, გერმანია), ბორერი („გრასჰოპერი“), ცუბერბიულერი („ბაზელი“). ***მცველები:*** ბერნერი („ფრაიბურგი“, გერმანია), ანშო („ლივერპული“, ინგლისი), მ. იაკინი, ჰაასი (ორივე — „ბაზელი“), კელერი („ციურიხი“), მანინი („ვერდერი“, გერმანია), მაიერი („მიუნხენი 1860“, გერმანია); ***ნახევარმცველები:*** კაბანისი („გრასჰოპერი“), კანტალუპი, ჰ. იაკინი (ორივე — „ბაზელი“), მიულერი („ლიონი“, საფრანგეთი), სელესტინი („ოლიმპიკი“, საფრანგეთი), ფოგელი („ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ვიკი („ჰამბურგი“, გერმანია); ***თავდამსხმელები:*** შაპიუზა („იანგ ბოიზი“), ფრაი, ტიური (ორივე — „სერვეტი“).

# კახი კალაძე: იტალიურ „კიანტის“ ქართული „ქინძმარაულისგან“ ვერ ვარჩევ

*(პირველი გვერდიდან)*

***რტმა, წლევანდელ საფეხბურთო სეზონში ყველა გააოგნა. თქვენც?***

— არა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ სეზონს წარმატებით დავიწყებდით. თუ მიკვირდა, ადრე მიკვირდა, როცა „მილანს“ არ გამოსდიოდა თამაში. ამჟამად ჩვენი გუნდი ერთ-ერთი საუკეთესოა იტალიაში „იუვენტუსთან“ ერთად. „მილანში“ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა ნესტას, რივალდოს, ზეედორფის და ტომასონის მოსვლის შემდეგ. გაიზარდა კონკურენცია, შინაგანი ატმოსფერო მეგობრულია. გავიცანი რივალდო და გავოგნდი: ეს არის ვარსკვლავი, მშვიდი და წყნარი ადამიანი.

• ***როგორ ფიქრობ, შეძლებს კი რივალდოსთვის კონკურენციის გაწევას შევჩენკო, რომელიც მალე დაუბრუნდება მოედანს?..***

— შევჩენკოსათვის მუდამ მოიძებნება ადგილი „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში.

• ***თქვენი „მილანში“ ყოფნის პირველ ხანებში საკმაოდ რთული სიტუაცია იყო: გუნდი ხშირად დაუგეგმავად აგებდა. იყო თუ არა კლუბის მფლობელების მხრიდან უკმაყოფილება და რა ფორმებში გამოხატავდნენ ამას?***

— ყოველთვის გამარჯვების მოპოვება ფეხბურთში ძნელია. „მილანში“ ეს ყველას კარგად ესმოდა და გაგებით ეკიდებოდა. სხვა საქმეა თუ რას წერდა იტალიური პრესა. საერთოდ, წაგებული მატჩების შემდეგ გაზეთს არ ვკითხულობ. ზოგჯერ ისეთ რამეს დაწერენ, რომ ცხოვრება აღარ გინდა.

• ***გულშემატკივრებთან რაიმე ექსცესები ხომ არ გქონიათ? ასე მაგალითად, ამას წინათ, „ლაციოს“ ფანატებმა კლუბის ოფისი დაანგრიეს, ხოლო „რომას“ წარუმატებლობით გაბეზრებულმა გულშემატკივრებმა თავდასხმა მოაწყვეს ფეხბურთელებზე...***

— ვფიქრობ, მილანში ასეთი რამ არ მოხდება. ფანატები მუდამ გულთბილად გვეპყრობიან.

• ***„მილანში“ ყოფნის პერიოდში უკვე რვა გოლი გაიტანეთ, რაც მცველისთვის უჩვეულოა.***

— გოლების უმრავლესობა ნახევარდაცვაში თამაშის დროს გავიტანე, თუმცა სულაც არ არის უჩვეულო, როცა მცველს გააქვს გოლი. თანამედროვე ფეხბურთში მცველების აქტიური ჩართვა შეტევაში აუცილებელიცაა. ახლა, როცა დაცვაში მალდინის დაემატა ნესტა, მე ხშირად ვერთვები შეტევებში.

• ***ანჩელოტი უკვე მეოთხე მწვრთნელია, ვისთანაც „მილანში“ მუშაობთ. როგორ შეადარებდით მას წინა მწვრთნელებს — ძაკერონის, მალდინის და თერიმს?***

— არ მიყვარს მწვრთნელების შეფასება. მე ნებისმიერ სიტუაციაში უნდა ვითამაშო.

• ***ერთი წლის წინ საუბრობდნენ თქვენს შესაძლო გადასვლაზე „იუვენტუსში“ ან „ინტერში“...***

— მართალია. ეს კლუბები ჩემდამი ამჟღავნებდნენ ინტერესს, მაგრამ მე აქ უფრო მომწონს, „მილანიდან“ წასვლაზე არასოდეს მიფიქრია.

• ***რაც იტალიაში თამაშობთ, გარეგნობაც შეიცვალეთ, თმები გაიზარდეთ, იცმევთ ვია მონტენაპოლეონეს სტილში. იგრძენით თავი იტალიელად?***

— ცოტათი. მე მალევე შევითვისე ადგილობრივი ცხოვრების თავისებურებანი. სიგიჟემდე მიყვარს იტალიური სამზარეულო, რადგან მას ბევრი რამ საერთო აქვს ქართულ სამზარეულოსთან. ასე მაგალითად, „მოცარელა“ ქართულ სულგუნს წააგავს, ხოლო იტალიური პური — ჩვენებურ ლავაშს.

• ***მოდების კვარტალი, „ლასკალა“, ბრერის ბარები, ავტოსალონი „ფერარი“ — სად შეიძლება კახი კალაძის შემჩნევა მილანში უფრო ხშირად?***

— შინ. მართალია, მილანი აქტიური ცხოვრებისათვის შესანიშნავი ქალაქია, მაგრამ ძმის მოტაცების შემდეგ სამხიარულოდ საქმე ნამდვილად არა მაქვს. ფეხბურთი, ოჯახი და ახლო მეგობრები, აი ყველაფერი, რაც ამ მომენტისათვის, ჩემს ცხოვრებაში არსებობს.

• ***შესანიშნავი ღვინის ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადახვედით. როგორ შეადარებდით ქართულ და იტალიურ ღვინოებს?***

— იტალიაში ღვინოს ყოველთვის სვამენ, სამუშაოზე შესვენების დროსაც კი, მეგობრულ კომპანიებზე და მხიარულ საღამოებზე რომ არაფერი ვთქვათ. თუმცა, მე არანაირი ინტერესი არა მაქვს ალკოჰოლური სასმელისადმი. ის კი არა, იტალიურ „კიანტის“ გემოთი ვერ გამოვარჩევ ქართული „ქინძმარაულისაგან“. მათ შორის განსხვავებას მხოლოდ ეტიკეტით ვადგენ.

• ***რას ნიშნავს თქვენს მკლავზე ტატუირება?***

— ვეფხვი? ეს მე ვარ, ოღონდ მოედანზე.

• ***მხოლოდ მოედანზე?***

— დიახ, ფეხბურთის გარეშე მე ვეფხვს არ ვგავარ. მეგობრები ამბობენ, რომ ძალიან წყნარი ადამიანი ვარ.

• ***თქვენი საყვარელი დრო და ადგილი...***

— დრო — გაზაფხული. ადგილი? ბევრია ასეთი: სამტრედია, კიევი, მონტე-კარლო. იქ, სადაც არავის გაუკვირდება ჩემი დანახვა და არავინ გამოიშვერს თითს ჩემკენ: შეხედეთ კალაძე მოდისო...



## საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
## X ტური

6 ოქტომბერი. თბილისი. 2000 მაყურებელი.
**„მერანი" (თბილისი) – „ლოკომოტივი" (თბილისი) 3-2**
**„მერანი":** ნაჭყეპია, გუჯაბიძე, ადუაშვილი, ჩილვინიძე, ილურიძე, მესხი, კოშკაძე, ფირცხალაიშვილი (ბაჯელიძე, 74), შენგელია (ბართაია, 88), ჭინჭარაული, რევაზიშვილი (ნოზაძე, 63).
**„ლოკომოტივი":** ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ორბელაძე, მიქაძე, ბურნაძე, ლაცაბიძე (რუსია, 46), კვარაცხელია (ონიანი, 72), სირაძე (გელა ქორიძე, 46), ჯანაშია, დავითაშვილი.
*გოლები:* 1-0 ფირცხალაიშვილი (38), 2-0 კოშკაძე (55), 3-0 ჩილვინიძე (62), 3-1 ბურნაძე (77), 3-2 ონიანი (89).
*გააფრთხილეს:* კვარაცხელია (14), ფირცხალაიშვილი (67).
*მსაჯი:* მ. მალაღურაძე (თბილისი).

6 ოქტომბერი. ბათუმი. 1000 მაყურებელი.
**დინამო (ბათუმი) – დინამო (თბილისი) 1-3**
***დინამო (ბათუმი):*** ტოგონიძე, მინდაძე, ჩაჩუა, მახარაძე, თურმანიძე, ქაცარავა, ხუჯაძე, კობიძე (სეფერთელაძე, 65), დარჩიძე (ტულუში, 51), რომანაძე, მაჭუტაძე (ბექანიძე, 85).
***დინამო (თბ):*** გვარამაძე, კარლოსი (ხიზანეიშვილი, 75), ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე, ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია (კანდელაკი, 61), ანჩაბაძე, გოგობერიშვილი, ახალაია (მიქაძე, 65).
*გოლები:* 0-1 ახალაია (15), 0-2 ახალაია (30), 1-2 ხუჯაძე (41), 1-3 გოგობერიშვილი (80).
*გააძევეს:* ჩიჩუა (44), სახვაძე (44).
*მსაჯი:* ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

## ივო შუშაკის დაბადების დღეს...

6 ოქტომბერს დინამოელთა ხორვატ მწვრთნელს ივო შუშაკს დაბადებიდან 56 წელი შეუსრულდა და შეგირდებმა საღამო არ ჩაუმწარეს. მართალია, ბათუმელმა ფეხბურთელებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა ამჯერად მაინც მოეპოვებინათ პირველი გამარჯვება მიმდინარე სეზონში, მაგრამ... თბილისის „დინამო" ბათუმშიც შეუდარებელი იყო. ანგარიში მე-15 წუთზე ახალაიამ გახსნა, 15 წუთის შემდეგ მანვე მეორედ აიღო ტოგონიძის კარი. მასპინძლებმა ტაიმის მიწურულს რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს და 41-ე წუთზე ხუჯაძემ ერთი გოლი გაქვითა. სამი წუთის შემდეგ ორივე გუნდს თითო ფეხბურთელი გამოაკლდათ: მსაჯმა ჩხუბისათვის მოედნიდან გააძევა ბათუმელი ჩიჩუა და თბილისელი სახვაძე.

მეორე ტაიმში მასპინძლები ამაოდ ცდილობდნენ ანგარიშის გათანაბრებას. პირიქით, თამაშის დამთავრებამდე მესამე გოლიც გაუშვეს და თბილისელებმა გაიმარჯვეს — 3-1.

## გაჭირვებულთა რისხვას „ლოკომოტივი" ემსხვერპლა ანუ როგორ აჯობა მშიერმა მაძღარს!

ასეთ სენსაციას ნამდვილად არავინ ელოდა. ის კი არა, „მერანის" ფეხბურთელები მინდორზე გამოსვლაზეც უარს აცხადებდნენ. მიზეზი თურმე ნამდვილად ჰქონდათ: ორი თვის ხელფასი და სამი მატჩის პრემიები. საქმე იქამდე მივიდა, რომ ფეხბურთელების გაფიცვის შესახებ შეატყობინეს „მერანის" საპატიო პრეზიდენტს ნუგზარ ნავაძეს, რომელიც იმ დროს აეროპორტში სტუმრებს აცილებდა. ის თამაშის დაწყებამდე 10 წუთით ადრე მივიდა სტადიონზე და გასახდელში მოლაპარაკება გამართა ფეხბურთელებთან. მოლაპარაკებიდან ნახევარი საათის შემდეგ ოთარ გაბელიას შეგირდები მინდორზე გავიდნენ (ნავაძემ აღუთქვა ფეხბურთელებს, რომ ფინანსური პრობლემები 10-12 დღეში მოგვარდება). „ლოკომოტივს" შეეძლო თამაშის დაწყების დროს, „მერანის" მინდორზე არყოფნით ესარგებლა და სტადიონი დაეტოვებინა, თანაც მოგებაც ჩაეთვლებოდა, მაგრამ რკინიგზელებმა ეს არ იკადრეს და... სასწაულის მომსწრენიც გახდნენ.



„მერანი" თავგანწირვით ათამაშდა, ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს ტოლი არაფერში დაუდო. „მერანის" მცველებმა საიმედოდ „ჩაკეტეს" ჯანაშია და დავითაშვილი. კარგად თამაშობდა მასპინძელთა ნახევარდაცვა, სადაც ყველაზე აქტიური კოშკაძე იყო.

„მერანმა" ანგარიში 38-ე წუთზე გახსნა: მესხის მიერ მარცხენა ფრთიდან „ლოკომოტივის" საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ფირცხალაიშვილმა ზუსტად გაგზავნა ლომაიას კარისკენ.

შესვენებაზე „ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა ცაკარიასმა ლაცაბიძე და სირაძე რუსიათი და ქორიძით შეცვალა, მაგრამ რკინიგზელების გუნდს ამანაც ვერ უშველა.

მეორე ტაიმი „მერანის" შეტევებით დაიწყო და 55-ე წუთზე კოშკაძემ მეორე გოლი გაიტანა. 5 წუთში ჩილვინიძემ გამოიჩინა თავი და „მერანი" 3-0 დაწინაურდა. ტაიმის მიწურულს მასპინძლები დაიღალნენ, რითაც ისარგებლეს „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა და ინიციატივა იგდეს ხელთ. 78-ე წუთზე ბურნაძემ საპასუხო გოლი გაიტანა, უკანასკნელ წუთზე კი ონიანმა მეორედ აიღო მასპინძელთა კარი, თუმცა საბოლოო გამარჯვება „მერანს" დარჩა.

**თენგიზ ჩოგანიძე**

## ტურის სტატისტიკა

**დილა – მილანი 3-1**
***დილა:*** სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე, ლომიძე, რევაზიშვილი, დავითნიძე, საყვარელიძე (ლ. გოჩაშვილი, 46), ფეზუაშვილი, ხორგუაშვილი (რაზმაძე, 88), ხმალაძე (სულთანიშვილი, 61), ჯობაძე.
***მილანი:*** მამალაძე, ტარუღაშვილი, ჯაბუა, აკობია, მეტონიძე, ბარამიძე, მ. სამხარაძე, ჭაღიაშვილი (შელეგია, 85), ქარჩავა (ვართაგავა, 64), ქარდავა (ტარიელაშვილი, 63), გაბედავა.
*გოლები:* 1-0 ხორგუაშვილი (20), 2-0 ჯობაძე (55), 2-1 სამხარაძე (70), 3-1 სულთანიშვილი (82).
*გააფრთხილეს:* ჩიტაია, ქარდავა, ქარჩავა, რევაზიშვილი.
*მსაჯი:* ორდინიძე.

**ტორპედო – სიონი 4-2**
***ტორპედო:*** ჰანტურია (სტურუა 46), მახვილაძე, ხვადაგიანი, ქემოკლიძე, კვეტენაძე, დიდავა, ბაბუნაშვილი, აკოფიანი (ახალკაცი, 56), ჩხეტიანი, პოროშინი (გამეზარდაშვილი, 47), ჩომახიძე.
***სიონი:*** ვოლკოვი, ირემაშვილი, ბაქრაძე (ისიანი, 46), ცქიფურიშვილი, ჩხაიძე, კვეკვესკირი, გაბისკირია, დ. გოდერძიშვილი (მოსეშვილი, 68), კაციაშვილი, შავგულიძე, დაუშვილი (გიორგი ქორიძე, 28).
*გოლები:* 1-0 პოროშინი (20), 1-1 დაუშვილი (25), 2-1 პოროშინი (35), 3-1 პოროშინი (44), 4-1 ჩხეტიანი (45), 4-2 შავგულიძე (81).
*გააფრთხილეს:* კვეკვესკირი, ბაბუნაშვილი.
*მსაჯი:* ა. შილაკაძე.

**მეტალურგი – კოლხეთი 0-2**
***მეტალურგი:*** მერკვილიშვილი, მემარნიშვილი, ორმოცაძე (მ. ღონღაძე, 57), გაბრიჭიძე, ფოფხაძე, სულაკაძე, ჩაჩუა, ი. ხაჭაპურიძე (ენდელაძე, 46), ვაჩიბერაძე, სუხიაშვილი, მაღლაკელიძე.
***კოლხეთი:*** გრიშიკაშვილი, ნარსია, ქობულაძე, შ. ღონღაძე, ქუტიძე (გოროზია, 78), გაბიდაური, ე. გვასალია, სვანაძე, ფანჩულიძე, გონჩაროვი (კვერნაძე, 83), წიტაიშვილი (კრასოვსკი, 46).
*გოლები:* 0-1 ფანჩულიძე (33), 0-2 სვანაძე (38).
*გააფრთხილეს:* გრიშიკაშვილი.
*გამოუყენებელი პენალტი:* სუხიაშვილი (58).
*მსაჯი:* ა. შალამბერიძე.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 9 | 8 | 1 | 0 | 19-1 | 25 |
| ტორპედო | 10 | 7 | 1 | 2 | 19-6 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 7 | 1 | 2 | 17-5 | 22 |
| ლოკომოტ. | 9 | 6 | 1 | 2 | 15-5 | 19 |
| კოლხ. 1913 | 10 | 5 | 2 | 3 | 12-11 | 17 |
| სიონი | 10 | 4 | 1 | 5 | 10-15 | 13 |
| მეტალურგი | 10 | 4 | 1 | 5 | 7-15 | 13 |
| მერანი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-17 | 11 |
| დილა | 10 | 2 | 2 | 6 | 6-13 | 8 |
| მილანი | 10 | 1 | 3 | 6 | 4-16 | 6 |
| დინამო (ბთ) | 10 | 0 | 5 | 5 | 4-10 | 5 |
| გორდა | 10 | 1 | 0 | 9 | 3-18 | 3 |

## პირველი ლიგა, VI ტური

**„ლაზიკა" (ზუგდიდი) – „ივერია" (ხაშური) 2-1**
***ლაზიკა:*** მ. ნაყოფია, ა. ნაყოფია, ჭითანავა, ფიფია, ჯაბუა, მებონია, გვიჩია (ჯოჯუა 60), თოდუა, ლიპარტია, ბაკარანძე (პერტაია 80), ქირია (გვაზავა 70).
***ივერია:*** ოდიკაძე, ნეკერიშვილი, ლურსმანაშვილი, ლომიძე, ინასარიძე, გოგოლაძე (ვეშაპიძე 60), ტყემალაძე, ჩადუნელი, (ხაჩიძე 46), ტილკავაშვილი, თალაკვაძე, მელაძე (ამაზაშვილი 55).

ზუგდიდის გ. თუთბერიძის სახელობის სტადიონზე გაიმართა I ლიგის VI ტურის ცენტრალური შეხვედრა. ზუგდიდის „ლაზიკა" მასპინძლობდა გათამაშების ლიდერს ხაშურის „ივერიას". მატჩი საინტერესო და დაძაბული გამოდგა. სტადიონზე მოსული 2000-მდე გულშემატკივარი თამაშით კმაყოფილი დარჩა.

„ლაზიკა" თავიდანვე იერიშზე გადავიდა, მეტოქის კართან შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ სტუმართა მეკარე ოდიკაძე მოწოდების სიმაღლეზე იდგა. „ივერიამ" თანდათან გაათანაბრა თამაში, ხოლო შემდგომ მცირე ტერიტორიულ უპირატესობასაც დაეუფლა. „ლაზიკამ" ზონურ დაცვას მიმართა, თამაში კონტრშეტევებზე ააგო და შედეგმაც არ დააყოვნა. 25-ე წუთზე გვიჩიას მიერ ჩაწოდებულ ბურთს მაღალ ნახტომში თოდუა დაეუფლა და თავით ბრწყინვალე გოლი გაიტანა. ამის შემდეგ ხაშურელთა რიგებში დაბნეულობამ იჩინა თავი და მეკარესთან პირისპირ გასულ ლიპარტიას პირველსავე ტაიმში შეეძლო ანგარიში ორამდე გაეზარდა. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე „ივერია" შეეცადა თამაშში გარდატეხა შეეტანა, მაგრამ „ლაზიკა" კონტრშეტევებით პასუხობდა. ქირიას დიაგონალური გადაცემა ბაკარანძემ მიიღო, ჩამოიტოვა ორი მცველი და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მეორე გოლი გაიტანა. „ლაზიკას" შეეძლო ეს მატჩი დიდი ანგარიშით მოეგო, მაგრამ კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იყო სტუმართა მეკარე. ბოლო 15 წუთი ხაშურელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. 85-ე წუთზე ინასარიძეს შორეულ დარტყმას გოლი მოჰყვა, დარჩენილ დროში ხაშურელთა მცდელობას, გაეთანაბრებინა ანგარიში, წინ ნაყოფია აღუდგა. „ლაზიკამ" მეტად საჭირო სამი ქულა მოიპოვა.

ხაშურელთა მწვრთნელი თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილო დარჩა. „ჩვენი მიზანი — უმაღლეს ლიგაში გადასვლა კვლავ უცვლელი რჩება". — თქვა მან. თავისი ბიჭების უკმაყოფილო არც მასპინძელთა მწვრთნელი იყო, მაგრამ: „გუნდს სჭირდება ყურადღება ქალაქის ხელმძღვანელობის მხრიდან. თუ გვექნება ფინანსური დახმარება, ახალგაზრდულ გუნდს „ლაზიკას" ძალუძს ზუგდიდს დაუბრუნოს ძველი ტრადიციები" — ასეთია ბესო შეროზიას აზრი.

**ბელა ნაჭყებია**
„ლელოს" კორესპონდენტი სამეგრელოს რეგიონში.

## რეგიონული ლიგა

**დასავლეთი. V ტური:** ჩიხურა — შევარდენი 1-0; რაჭა — დინამო (ზ) 8-1; მეშახტე — ლუკა 3-1; მაღაროელი — კოლხეთი2 1-1; დინამო2 (ბთ) — სალხინო 2-0; სსუ — სქური 0-0; დინამო (სოხ) — სულორი 1-3; ოდიში — ინტერი 1-1.

**ცენტრალური. IV ტური:** მესხეთი — ლიახვი 3-0; მცხეთა2 — დილა2 5-1; ცხინვალი2 — ოლიმპიკი 3-1. ყაზბეგი — ვარძია 8-1; ცხუმი — ვიტ ჯორჯია2 0-1; პრემა — აფა 2-3.

## პირველი ლიგა, სხვა მატჩები

**მერცხალი — მცხეთა 1-1; თსუ — ლოკომოტივი (ს) 1-0; ჭაბუკთა ნაკრები — ცხინვალი (გადაიდო); გურია — დინამო2 (თბ) 2-1; ქობულეთი — ლოკომოტივი2 1-0; ალაზანი-მერანი — კოლხეთი (ხ) 2-2; ლოკო — სამგურალი 0-0**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-4 | 14 |
| ლაზიკა | 6 | 4 | 2 | 0 | 12-6 | 14 |
| ივერია | 6 | 4 | 1 | 1 | 11-7 | 13 |
| თსუ | 6 | 4 | 0 | 2 | 6-4 | 12 |
| ცხინვალი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-2 | 10 |
| გურია | 5 | 3 | 1 | 1 | 6-3 | 10 |
| ქობულეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 4-5 | 9 |
| მცხეთა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| სამგურალი | 6 | 1 | 4 | 1 | 6-7 | 7 |
| ჭაბ. ნაკრ | 5 | 2 | 0 | 3 | 11-9 | 6 |
| ლოკ. (სამტრ) | 6 | 2 | 0 | 4 | 5-8 | 6 |
| ლოკომოტ.2 | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| დინ.2 (თბ) | 6 | 1 | 1 | 4 | 6-10 | 4 |
| ლოკო | 6 | 1 | 1 | 4 | 4-9 | 4 |
| ალაზ-მერ. | 6 | 0 | 2 | 4 | 5-15 | 2 |
| კოლხეთი (ხ) | 6 | 0 | 2 | 4 | 2-10 | 2 |

## ხსოვნის ტურნირი ხობში

ხობში ჩატარდა საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" პირველი პრეზიდენტისა და ყოფილი ფეხბურთელის ზურაბ ბუბუტეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. პირველმა ხობში სწორედ ამ პიროვნებამ ჩაუყარა საფუძველი თვითდაფინანსებაზე გადასვლას და კლუბი ორი გუნდით წარმატებით მონაწილეობდა საკავშირო და რესპუბლიკურ პირველობებში. ტურნირში ექვსი გუნდი ჩაება. ფინალურ შეხვედრაში, როგორც შარშან, ამჯერადაც ზუგდიდის „ყოჩები" და ხობის „განათლება" შეხვდნენ ერთმანეთს. დაძაბულ შეხვედრაში ირაკლი წურწუმიას მიერ ერთმა გატანილმა ბურთმა გამარჯვება ხობელებს მოუტანა (მწვრთნელი ზურაბ ლატარია) და მთავარი პრიზი წლეულს მათ ერგო. სამახსოვრო თასით დაჯილდოვდა „ყოჩები" (მწვრთნელი ვალერი გულორდავა), მესამე ადგილზე გავიდა ქუთაისის „დინამო" (მწვრთნელი დავით რუხაძე). სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ: ირაკლი შაყულაშვილი, ბორის გუჯეჯიანი, გოგა ბერიშვილი (სამივე — „რუხი", ზუგდიდი), მირიან ლანჩავა, ნიკა გრძელიძე (ორივე — „დინამო", ქუთაისი), ილია გადელია, ნიკა ძალამიძე (ორივე — „ყოჩები", ზუგდიდი), გიორგი ქვილითაია („მილანი", აბაშა) ლევან ქაშიბაძე (ოლიმპია, ხობი), ირაკლი წურწუმია, ირაკლი ესებუა, სულხან თოდუა, პაატა ბუკია, ზაზა გელაშვილი, ლევან გოგენია, ბაკურ ბუკია (ყველა — „განათლება", ხობი).

**ანზორ სანიკიძე**, რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

## საშა ჩივაძემ სრული შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ დაასახელა სრული სია იმ ფეხბურთელებისა, რომლებიც 12 ოქტომბერს, რუსეთის ნაკრებთან პრინციპულ მატჩში დაიცავენ ქვეყნის ღირსებას. ჩივაძის რჩეულთა შორის 6 დინამოელია, ხოლო ჩემპიონს — ქუთაისის — „ტორპედოს" ერთი ფეხბურთელი — დიდავა წარმოადგენს. გუნდში აღარ არიან გიორგი ქინქლაძე, მიხეილ ყაველაშვილი, გელა შეყილაძე... ჩივაძე ჯანაშიას გამოძახებას აპირებდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ძალზე ცუდად ითამაშა კვირას „მერანის" წინააღმდეგ.

ჩივაძის მიერ საქართველოს ნაკრებში მოწვეულ ფეხბურთელთა სრული სია ასეთია: ***მეკარეები:*** დავით გვარამაძე („დინამო", თბ), გიორგი ლომაია („ლოკომოტივი"); ***მცველები:*** გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი (ორივე — „დინამო" თბ), ზურაბ ხიზანიშვილი („დანდი", შოტლანდია), ალექსანდრე რეხვიაშვილი („სკონტო", ლატვია), კახა კალაძე („მილანი", იტალია), გივი დიდავა („ტორპედო"); ***ნახევარმცველები:*** ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი (ორივე — „ფრაიბურგი", გერმანია), გოჩა ჯამარაული („მეტალურგი", უკრაინა), ლადო ბურდული, ალექსანდრე გოგობერიშვილი, ვიტალი დარასელია (ყველა — „დინამო" თბ), დავით მუჯირი („შტურმი", ავსტრია), მამია ჯიქია („ამიცა", პოლონეთი); ***თავდამსხმელები:*** ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი", გერმანია), გიორგი დემეტრაძე („ალანია", რუსეთი), შოთა არველაძე („რეინჯერსი", შოტლანდია).

## კიპალეიშვილის ნაკრები

***მეკარეები:*** ზ. მამალაძე (მილანი), ი. ბალაძე (დინ. ბთ.); ***მცველები:*** დ. ზაზაშვილი (გორდა), ლ. სალუქვაძე (ლოკომ), რ. სვანაძე (კოლხ), ვ. უგრეხელიძე (ტორპ. ბელარ), ე. საჯაია (ტორპ. მოსკ), ა. ინწკირველი (ვ/ჯორჯია); ***ნახევარმცველები:*** გ. დეკანოსიძე (ფიურტი, გერმ), რ. ახალკაცი (ტორპ. ქუთ), ი. შენგელია (მერ), დ. სირაძე (ლოკომ), თ. სულაქველიძე (დინ.2.თბ), გ. ციმაკურიძე (შახტ. დონეც.), ***თავდამსხმელები:*** ი. მოდებაძე (მეტალ. ზაპორ), რ. გოცირიძე (გორდა), ლ. ახალაია (დინ.თბ), გ. ადამია (ვ/ჯორჯია)

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ეროვნული ნაკრების წევრს გოჩა ჯამარაულს მამის გარდაცვალების გამო.**

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## საფეხბურთო ციებ-ცხელება უქმეებზე

გასულ შაბათ-კვირას ჩატარებულ ევროპის ქვეყნების ჩემპიონატის მორიგ ტურებში ყველაზე თვალში საცემი „მილანის" გამარჯვება იყო. კახი კალაძემ და მისმა თანაგუნდელებმა **„სერია ა"-ს** მეოთხე ტურში აუტსაიდერ „ტორინოს" უმასპინძლეს და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით 6-0. სტუმართა განადგურება პირლომ დაიწყო, რომელმაც 21-ე წუთზე ზუსტად გამოიყენა „ტორინოს" კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი. 10 წუთში ინძაგიმ გამოიჩინა თავი, შემდეგ კი სერჟინიომ მესამე გოლი გაიტანა. მეორე ტაიმში ინძაგიმ, რომელიც ამ სეზონში მართლაცდა, მაღალი შედეგიანობით გამოირჩევა, კიდევ ორჯერ აიღო „ტორინოს" კარი, ერთი გოლი სტუმრებმა საკუთარ კარში ჩაჭრეს. ამ მატჩში კალაძემ 90 წუთი ითამაშა.

ერთპიროვნულ ლიდერობას ინარჩუნებს „ინტერი", რომელმაც ამჯერად სტუმრად იოლად მოუგო „პიაჩენცას" — 4-1. ქულები დაკარგეს „იუვენტუსმა" და „ბოლონიამ", რომლებმაც ფრედ დაასრულეს შეხვედრები შესაბამისად „კომოსთან" (1-1) და „ემპოლისთან" (0-0). სხვა მატჩები: რეჯინა — ბრეშა 2-2, რომა — უდინეზე 4-1. კიევო — მოდენა 2-0, პარმა — პერუჯა 2-2, ატალანტა — ლაციო 0-1. 4 თამაშიდან 12 ქულა აქვს „ინტერს". 10 ქულით მეორე ადგილზეა „მილანი". 8-8 ქულით მესამე — მეოთხე ადგილებს იყოფენ „იუვენტუსი" და „ბოლონია".

**გერმანიის ბუნდესლიგის** მერვე ტურში მორიგი გამარჯვება იზეიმა „ბაიერნმა", რომელმაც 4-1 სძლია „ბოხუმს". პირველად მოიგო ამ სეზონში „კაიზერსლაუტერნმა", რომელმაც საკუთარ მოედანზე გაანადგურა „კოტბუსი" — 4-0.

დორტმუნდის „ბორუსიამ" სტუმრად 3-0 სძლია „ჰანოვერს" და ერთადერთი გუნდია ბუნდესლიგაში, რომელსაც ჯერ არ უგემია მარცხი. ჩემპიონატს 19 ქულით „ბაიერნი" ლიდერობს. 16-16 ქულა აქვს „ბორუსიასა" და „ვერდერს".

ტურის სხვა მატჩები: ჰერტა — ნიურნბერგი 2-1, ვოლფსბურგი — ლევერკუზენი 2-0, გლადბახი — არმინია 3-0, შალკე — ჰამბურგი 3-0, ვერდერი — ჰანზა 0-0, შტუტგარტი — მიუნხენი 4-1.

**ესპანეთის პრიმერადივიზიონში** რამდენიმე სენსაციური შედეგი დაფიქსირდა. „ბარსელონამ" შინ ვერაფერი მოუხერხა „ოსასუნას", „დეპორტივო" საკუთარ მოედანზე დამარცხდა „რასინგთან" 0-2, ხოლო „ვალენსია" — „სელტასთან" (0-1). წელს „სოსიედადის" ხელმძღვანელობამ ნამდვილად ისეთი შემადგენლობა შეკრიბა, რითაც შეიძლება მაღალი ადგილებისათვის ბრძოლა. გიორგი დემეტრაძის ყოფილმა გუნდმა შინ „ვალიადოლიდი" დაამარცხა 2-1 და ახლა 5 თამაშიდან 13 ქულით „სელტასთან" ერთად ლიდერობს ჩემპიონატს. რაც შეეხება მადრიდის „რეალს", ამ უკანასკნელს არ გასჭირვებია „ალავესის" ძლევა (5-2). აღსანიშნავია, რომ რონალდომ პირველი გოლი ჩაიწერა „რეალის" შემადგენლობაში. სხვა მატჩები: უელვა „ბილბაო" 1-2, მალიორკა — ესპანიოლი 2-0, რიო — ვილიარეალი 2-2, მალტა — ატლეტიკო 3-1, სევილია — ბეტისი 1-1.

**საფრანგეთის ჩემპიონატის** მეათე ტურში საკუთარ მოედანზე „მონაკოსთან" ფრეს (1-1) დასჯერდა ლიდერი „ოსერი". ამასობაში „ნიცამ" 2-0 სძლია „ბასტიას" და ახლა „ოსერს" ქულითღა ჩამორჩება. მესამე-მეხუთე ადგილებზე 17-17 ქულით არიან „პსჟ", „მონაკო" და „მარსელი".

სხვა მატჩები: აიაჩო — ნანტი 1-0, ლე ავრი — სოშო 1-0, ლილი — მარსელი 3-0, მონპელიე — ლანსი — 0-2, რენი — ლიონი 0-1, სტრასბური— ტრუა 2-1, ბორდო - სედანი 2-2, პსჟ — გენგამი 5-0.

**პორტუგალიის ჩემპიონატის** მეშვიდე ტურში „ბენფიკამ" ვერ მოახერხა „სეტუბალის" დამარცხება (1-1), „გიმარაეშმა" ისარგებლა ამით, მოიპოვა რა მორიგი გამარჯვება, დაეწია „ბენფიკას" და ახლა ორივეს 13-13 ქულა აქვს. ამდენივე ქულა ჰქონდა „პორტუსაც", თუმცა ამ უკანასკნელის წუხანდელი მატჩის შედეგი „ბეირა მართან", გაზეთის დაბეჭდვის მომენტისთვის, ცნობილი არ იყო.

სხვა მატჩები: ბელენენსეში — ბრაგა 3-2, ლეირია — ნასიონალი 1-0, უილ ვისენტე — ფერეირა 1-1, მარიტიმუ — აკადემიკა 2-1.

**ჰოლანდიის ჩემპიონატში** ორხელისუფლებიანობაა: „აიაქსსაც" და „პსვ ეინდჰოვენსაც" 19-19 ქულა აქვს. მეშვიდე ტურში გახოკიძის გუნდმა სტუმრად ფრედ ითამაშა „ბრედასთან", ხოლო „აიაქსმა" ასევე სტუმრად დაძაბული მატჩი მოუგო „ფეიენოორდს" (2-1) და ახლა ამ უკანასკნელს 6 ქულით უსწრებს.

სხვა მატჩები: ვაალვაიკი — ტვოდე 0-2, როდა — ექსელსიორი 2-3, გრააფსხაპი — ტვენტე 0-1, ალკმაარი — ვიტესი 1-3, ჰეერენვენი — ტილბურგი 1-1, უტრეხტი — როზენდალი 2-2.

**ბელგიის ჩემპიონატის** მერვე ტურში მორიგი გამარჯვება იზეიმა „ბრიუგემ", რომელმაც შინ „მუსკრონი" გაანადგურა 5-1. ახლა „ბრიუგეს" 22 ქულა აქვს და უახლოეს მდევარ „ლიერსს" 3 ქულით უსწრებს.

სხვა მატჩები: ლუვიე — ბევერენი 2-1, ლოკერენი — სტანდარდი 3-3, ბეერსხოტი — მეხელენი 2-2, ლომელი — ვესტერლო 5-1, ლიერსი — ანტვერპენი 3-1, სტ. ტრუიდენი — გენკი 6-4, მონსი — შარლერუა, 4-1, ანდერლეხტი — გენკი 1-1.

**შოტლანდიის პრემიერლიგის** მორიგი მეათე ტურში ცენტრალური შეხვედრა გაიმართა „სელტიკსა" და „რეინჯერსს" შორის. უკვე მეექვსე წუთზე არტეტამ „რეინჯერსი" დააწინაურა, ტაიმის მიწურულს ლარსონმა წონასწორობა აღადგინა. მანეე მეორე ტაიმის დასაწყისში წინ გაიყვანა „სელტიკი". მალე რონალდ დე ბურმა გაათანაბრა ანგარიში. 75-ე წუთზე შოთა არველაძემ „რეინჯერსი" ისევ დააწინაურა — 3-2. მაგრამ ამ უპირატესობით სტუმრებმა მხოლოდ სამი წუთი გაძლეს: სატონმა შეძლო ქულის გადარჩენა 3-3. ამრიგად, 10 ტურის შემდეგ „რეინჯერსი" 26 ქულით ისევ ინარჩუნებს ლიდერობას, მას ქულით ჩამორჩება „სელტიკი".

სხვა მატჩები: დანდი — კილმარნოკი 2-1, დანფერმლაინი — პარტიკი 4-1, ჰიბერნიანი — დანდი იუნ. 2-1, მოზერვილი — აბერდინი 1-2, ლივინგსტონი — ჰართსი 1-1.

და ბოლოს, **რუსეთის ჩემპიონატში** მომხდარ მოვლენებს გადავხედოთ.

მოსკოვის „სპარტაკმა" როგორც იქნა „გამოიღვიძა". ოლეგ რომანცევის გუნდმა შინ 3-1 სძლია „კრილია სოვეტოვს", აბრამიძემ „სპარტაკის" შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა.

„ალანიამ" დემეტრაძისა და აშვეთიას გოლების წყალობით, 2-1 მოუგო „შინიკს".

ცსკამ სტუმრად გაიმარჯვა „ზენიტთან" 2-0, ხოლო ერთპიროვნულმა ლიდერმა „ლოკომოტივმა" კიდევ უფრო გაირთულა ჩემპიონის ტიტულისკენ მიმავალი გზა: სომინის გუნდმა სტუმრად წააგო „სატურნთან".

სხვა მატჩები: ურალანი — როსტსელმაში 0-0, სოკოლი — როტორი 3-1, დინამო — ტორპედო 3-3.

სატურნირო ცხრილში 54 ქულით (26 თამაშიდან) ცსკა დაწინაურდა, „ლოკომოტივს" 53 ქულა აქვს, თუმცა ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. 52 ქულით მესამე ადგილზეა მოსკოვის „სპარტაკი".



ატალანტა — ლაციო




რეალი — ალავესი. რონალდოს გოლი გააქვს,,,



რაიო — ვილიარეალი

### ინგლისის ხელისუფლებამ ისრაელის ნაკრებს ლონდონში თამაში აუკრძალა

ამ ცოტა ხნის წინ ცნობილი იყო, რომ ლონდონური საფეხბურთო კლუბი „ქუინზ პარკ რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ სრული მზადყოფნა გამოაცხადა, რათა ისრაელის ნაკრები დაეშვა სტადიონ „ლიფტუს როუდზე" 16 ოქტომბერს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ჩასატარებლად კვიპროსის ნაკრების წინაამდეგ (მოგეხსენებათ, ისრაელის კლუბებს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, აუკრძალეს საერთაშორისო მატჩების შინ ჩატარება), მაგრამ ლონდონის ხელისუფლებამ უარი განაცხადა ისრაელის ნაკრების მიღებაზე და დაბინავებაზე. ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას ახლა სხვა ვარიანტის გამოძებნა მოუწევს. ბოლო ცნობით, ისრაელი — კვიპროსის მატჩი 2003 წლის აპრილისთვის გადაიდო.

### ბრაზილიელები დოპინგს იყენებდნენ?

**სენსაციური განცხადება გააკეთა ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების ექიმმა ხულიო სეზარ ალვეშმა. მის სიტყვებს თუ დავუჯერებთ, სამხრეთამერიკელ სპორტსმენთა დიდი ნაწილი დოპინგს რეგულარულად იყენებს. მათ შორის არიან ის ფეხბურთელები, რომლებმაც წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი მოიგეს. თუმცა ამავე დროს, ალვეშმა არ დაასახელა დოპინგის მიმღები კონკრეტული ფეხბურთელის ვინაობა.**

### ალენ როში წავიდა...

ტრავმის გამო, 35 წლის ასაკში, ფრანგულ საფეხბურთო კლუბ „ბორდოს" ცენტრალურმა მცველმა ალენ როშმა სპორტული კარიერა დაასრულა. ასაკის მიუხედავად, სპეციალისტები თვლიან, რომ ის... ნაადრევად წავიდა დიდი ფეხბურთიდან.

ალენ როში იყო მართლაც შესანიშნავი ფეხბურთელი, რომელმაც თავისი კარიერის განმავლობაში ათი ფინალი მოიგო! ერთხელ — თასების მფლობელთა თასის, ხუთჯერ — საფრანგეთის, 3-ჯერ ფრანგული ლიგის და ერთიც ესპანეთის თასის ფინალური შეხვედრები! აი, რას ამბობს ალენ როშის შესახებ კლუბ „პარი-სენ-ჟერმენის" ყოფილი თავკაცი ანტუან კამბუარე: „ძნელი იყო, ამ ფეხბურთელში გეპოვნა რაიმე ნაკლი".

### „დაუმი „აუსტრიას" თავკაცობს



**ცნობილმა გერმანელმა სპეციალისტმა კრისტოფ დაუმმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ვენის „აუსტრიასთან". არადა, დადიოდა ხმები, თითქოს მუშაობას იწყებდა დონეცკის „შახტარში". როგორც ჩანს, დაუმმა „აუსტრიის" ვარიანტი აირჩია. შეგახსენებთ, რომ 2000 წელს დაუმი ლევერკუზენის „ბაიერს" თავკაცობდა როცა კოკაინის გამოყენებაში დასდეს ბრალი და გუნდიდან გააძევეს. ამის შემდეგ გერმანელი მწვრთნელი „ბეშიქთაშს" ხელმძღვანელობდა.**

### დიდა «ვალენსიაში»?

**როგორც გერმანული „სოკერი" იუწყება, ესპანური საფეხბურთო კლუბ „ვალენსიას" ხელმძღვანელობა აპირებს მოლაპარაკებები დაიწყოს იტალიურ „მილანთან" ამ უკანასკნელის გოლკიპერის დიდას შესყიდვის თაობაზე. ესპანელები თვლიან, რომ „ვალენსიას" ნომერ პირველ მეკარეს სანტიაგო კანისარესს კარგი დუბლიორი ესაჭიროება.**

### ფერდინანდი გამოაკლდა

**ინგლისური საფეხბურთო კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი" დროებით დაემშვიდობა გამოცდილ მცველს რიო ფერდინანდს. საქმე ის არის, რომ ამ ფეხბურთელს მუხლის ოპერაცია უნდა გაუკეთონ, რის გამოც, იგი მოედანზე დეკემბრის ბოლომდე ვერ გავა.**

**„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა: „ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ ფერდინანდს მუხლის ტრავმა აწუხებს. ამიტომ გადავწყვიტეთ ოპერაცია ჩავუტაროთ, რათა სეზონის მეორე ნახევარში იყოს მზად მნიშვნელოვანი ბრძოლისათვის".**

### ალბანეთის ნაკრებში ოთხი გოლკიპერი გამოიძახეს

შვეიცარიელებთან და რუსებთან, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისათვის, ემზადება ალბანეთის ნაკრები. მთავარმა მწვრთნელმა ჯუზეპე დოსენამ 26 ფეხბურთელი გამოიძახა საწვრთნელ შეკრებაზე. მოწვეულთა შორის ოთხი გოლკიპერია. გაგაცნობთ სრულ შემადგენლობას:

***მეკარეები:*** ფოტო სტრაკოშა, არიან ბეჩაი, ილონ ლიკა, ბლენდი ნალბანი; ***მცველები:*** ალპინ გალი, არიან ჯუმბა, გერი ჩიპი, ელვის სინა, ერვინ ფაკაი, ბესნიკ ჰასი; ***ნახევარმცველები:*** ალტინ ჰაჯი, ფატმირ გატა, ალტინ ლალა, ერვინ სკელა, ბლედარ კოლა, კლოდიან დურო, დავი მიეკა, ედვინ მურატი, არიან ბელაი; ***თავდამსხმელები:*** ალტინ რაკლი, ერიონ ბოგდანი, ფლორიან მურტაი, იგლი ტარე, ალბან ბუში.

### მიოლერი დაიღალა... თავით

მსოფლიოს 1990 წლის და ევროპის 1996 წლის ჩემპიონის, „შალკე"-ს 35 წლის ფეხბურთელმა ანდრეას მიოლერმა გადაწყვიტა საბოლოო წერტილი დაუსვას თავის საფეხბურთო კარიერას.

„მორჩა, ეს სეზონი ბოლოა, ამის იქით აღარაფერი შეიცვლება. შეიძლება, ფიზიკურად ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ... თავი გადამეღალა", — განაცხადა მიოლერმა „ბილდთან" საუბარში.

### საქველმოქმედო მატჩს ჩაატარებენ

**12 ოქტომბერს, დაკარში გაიმართება საქველმოქმედო მატჩი ნიგერიისა და სენეგალის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მონაწილეობით. მთელი შემოსავალი გადაერიცხებათ რამდენიმე დღის წინ გემ „ჯოლაზე" კატასტროფის შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.**

### ბერნდ შტანგე მზად არის ერაყის ნაკრებს უხელმძღვანელოს

გერმანელმა სპეციალისტმა ბერნდ შტანგემ განაცხადა, რომ მზად არის სათავეში ჩაუდგეს ერაყის ფეხბურთელთა ნაკრებს. გასულ ზაფხულს ერაყის ფეხბურთის ფედერაციამ მიმართა თხოვნით შტანგეს, ემუშავა ქვეყნის ნაკრებთან. გერმანელმა სპეციალისტმა ფიფასთან მთელი რიგი კონსულტაციების შემდეგ გადაწყვიტა ერაყში წასვლა.

შეგახსენებთ, რომ ბერნდ შტანგე 1983-1988 წლებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. როგორც თავად აცხადებს, ერაყის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდება.



მალეევა



მატიე

# კრემლის თასი მატიემ და მალეევამ მოიგეს

მოსკოვში დასრულდა „კრემლის თასის" გათამაშება ჩოგბურთში. ვაჟთა შეჯიბრების ფინალი რუსების გარეშე ჩატარდა, რაც იშვიათი მოვლენაა. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ფრანგული ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი პოლ ანრი მატიე და ჰოლანდიელი სიენგ შალკენი.

მატიემ „კრემლის თასზე" ასპარეზობა საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო, ყველა მეტოქე დაამარცხა, თვით რუსი მარატ საფინიც კი. ფრანგი ჩოგბურთელი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა ფინალურ მატჩშიც: მატიემ შალკენი სამ პარტიაში დაამარცხა 4:6, 6:2, 6:0.

ქალთა შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარელი მაგდალენა მალეევა და ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი. პირველი პარტია ლინდსეი დევენპორტმა მოიგო 7:5, მაგრამ მალეევამ შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა და საბოლოო გამარჯვების მოპოვება — 6:3, 7:6.

— „კმაყოფილი ვარ ჩემი შედეგით. ეს იყო საუკეთესო კვირა ჩემს სპორტულ კარიერაში" — განაცხადა მალეევამ ჟურნალისტებთან საუბარში.

# ელცინი და ჩოგბურთი

რუსეთის პირველ პრეზიდენტ ბორის ელცინს, მოგეხსენებათ, თავდავიწყებით უყვარს ჩოგბურთი. ის ხშირად ესწრება საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირებს. ნოემბრის ბოლოს ელცინი ესტუმრება პარიზს, სადაც დაესწრება „დევისის თასის" გათამაშების ფინალურ მატჩს რუსეთის და საფრანგეთის ჩოგბურთელთა ნაკრებებს შორის.

რუსული ჩოგბურთის ვარსკვლავმა ევგენი კაფელნიკოვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ გამარჯვების შემთხვევაში თავის ჩოგანს ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს აჩუქებს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „დევისის თასის" გათამაშების ნახევარფინალურ მატჩში რუსებმა არგენტინის ნაკრები დაამარცხეს. ბორის ელცინი 8 საათის განმავლობაში ადევნებდა თვალს საჩოგბურთო მატჩებს, ხოლო კაფელნიკოვ-გასტონის ორთაბრძოლის დროს იმდენად ნერვიულობდა, რომ ბოლო ორი გეიმი ფეხზე იდგა და კინაღამ გულის ინფარქტი დაემართა...

# სკანდალი აზიის თამაშებზე

სამხრეთ კორეის ქალაქ პუსანაში გამართულ აზიის თამაშებზე სკანდალური შემთხვევა მოხდა: იაპონელი არბიტრი ბოდი ბილდინგში 59 წლის კაცუნორი მასაედა თანამემამულეთა წარმატებული ასპარეზობის ხელშეწყობაში დაადანაშაულეს და შეჯიბრებიდან მოხსნეს. თვით მასაედა უარყოფს წაყენებულ ბრალდებებს. სხვანაირად ფიქრობს ბოდი ბილდინგის აზიის ფედერაციის გენერალური მდივანი პოლ ჩუა. ამ უკანასკნელის აზრით, უახლოეს დღეებში ფედერაცია იმსჯელებს მომხდარზე და იაპონელ მსაჯს შესაბამისად მიუზღავს რაც, ალბათ, მსაჯობის ლიცენზიის ჩამორთმევა იქნება.

# მორიგი რეკორდი

აზიის თამაშებში მორიგი რეკორდი დაფიქსირდა: 75 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ჩინელმა ქალმა ძალოსანმა სიუინ რუი პინმა 118,5 კგ ასწია, რითაც გააუმჯობესა იმავე დღეს ყაზახეთის წარმომადგენლის ტატიანა ხრომოვას მიერ დამყარებული რეკორდი.



სიუინ რუი პინი

# სპორტსმენები იკარგებიან

აზიის თამაშებში მოასპარეზე ნეპალის გუნდმა 8 სპორტსმენი (მათ შორის ერთი ქალი) დაკარგა. ისინი ერთ საღამოს გავიდნენ პუსანას ქუჩებში და უგზოუკვლოდ გაქრნენ. ადგილობრივი პოლიციის მტკიცებით, „დაკარგულები" სამხრეთ კორეაში არალეგალურად დარჩენას აპირებენ. საინტერესოა, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა. აზიის თამაშების დაწყებამდე ორი ვიეტნამელი მძლეოსანი გაქრა სპორტული დელეგაციების ბანაკიდან. პირველი ოქტომბრიდან კი პუსანას პოლიცია „დაკარგულ" მონღოლელ ქალს ეძებს უშედეგოდ.

# „თავისუფალი პრესის მარათონი" კენიელმა მოიგო

ტორონტოში ჩატარდა მარათონი სახელწოდებით „თავისუფალი პრესა": გამარჯვებული გახდა კენიელი მორბენალი ჯონ კარიუკი, რომელმაც დისტანცია 2 საათში და 19,14 წუთში დაფარა. ქალთა შორის ყველას აჯობა ტორონტოს მცხოვრებმა ანჟელა სტრეინჯმა, რომელმაც 42,195 კმ 2 საათში, 43 წუთსა და 22 წამში გაირბინა.



ელცინი

## ძვირფასი საჩუქარი — მწვრთნელს

პროფესიონალმა მოკრივეებმა ვიტალი და ვლადიმირ კლიჩკოებმა თავიანთ კარიერაში მოპოვებული ყველაზე ძვირფასი ტიტული — კრივის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით, მსოფლიო ჩემპიონის სარტყელი აჩუქეს ყოფილ მწვრთნელს ვლადიმირ ზოლოტარევს. ამ უკანასკნელს 4 ოქტომბერს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. ზოლოტარევის წყალობით ძმებმა კლიჩკოებმა პირველ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს.

## ამას მალავდა?

როგორც გაირკვა, ნბა-ს კლუბი „ნიუ-იორკ ნიქსი" წლევანდელ სეზონს ერთ-ერთი ლიდერის ლეტრელ სპრიუელის გარეშე დაიწყებს. საქმე ის არის, რომ ამ კალათბურთელმა ერთ საღამოს ჩხუბი აუტეხა თავის სტუმარს, მისი მოქნეული მუშტი მოულოდნელად კედელს მოხვდა. სპრიუელმა ხელი მოიტეხა და ამ ფაქტის დამალვას შეეცადა, თუმცა ვერ მოახერხა.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა სამძიმარს უცხადებენ დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სეოკის ვიცე-პრეზიდენტს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, ოლიმპიურ ჩემპიონს და პრიზიორს, მსოფლიო თასის მფლობელს თავისუფალ ჭიდაობაში ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.
პანაშვიდი 8, 9 X 17 სთ. ჭავჭავაძის, 39. დაკრძალვა ვლადიკავკაზში 12 X. 13 სთ-ზე.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს ამავე ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ოლიმპიურ ჩემპიონს და პრიზიორს, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნული კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სეოკის ვიცე პრეზიდენტს, მსოფლიოს მრავალგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია თანაუგრძნობს ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური თანაუგრძნობს ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.

მოჭიდავეთა რეგისტრირებული საზოგადოება „რაინდი" თანაგრძნობას უცხადებს სახელოვან ვეტერან ფალავანს ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის განათლების განყოფილების ფიზიკური აღზრდის სექტორი თანაუგრძნობს ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.

შპს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლერი ხაბელოვს მამის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია იზიარებს ლერი ხაბელოვის ღრმა მწუხარებას მამის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




8 ოქტომბერი, სამშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩვენი ფეხბურთი (22.15). *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (20.00). *მე-9 არხი.* მსოფლიო რაგბი (14.00). ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.45), ინგლისის ჩემპიონატი (16.45), „ფუტბოლ მუნდიალი" (18.30), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (19.15), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (20.10), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (21.55), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (23.10), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (0.10). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. „კრემლის თასი" (17.00), ჭადრაკი. ვ. კრამნიკი. ჩემპიონი კომპიუტერის წინააღმდეგ (23.35), კალათბურთი. „ჩემპიონთა თასი": „ხიმკი" — „პოლონია" (1.20), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (13.15), ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში (15.30, 17.15, 3.15), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (21.00), ფეხბურთი. უეფას თასი. წილისყრა (22.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (23.00).

9 ოქტომბერი, ოთხშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* მინიფეხბურთი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის გათამაშების საკვალიფიკაციო მატჩი: თბილისის „იბერია" — რუსეთის „ნიკელი". რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან (20.30). *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 22.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00). ***НТВ плюс футбол.*** განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (13.15, 19.15), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.00), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (15.55, 23.05), „ფუტბოლ მუნდიალი" (17.35), ინგლისის (18.05), იტალიის (21.15), გერმანიის (1.05) ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ვ. კრამნიკი. ჩემპიონი კომპიუტერის წინააღმდეგ (11.45). კალათბურთი. „ჩემპიონთა თასი". ვაჟები. რუსეთის „ხიმკი" — პოლონეთის „პოლონია" (16.15). საცხენოსნო სპორტი. „ბროლის თასი". დაბრკოლებათა გადალახვა (20.30, 0.30), კალათბურთი. ჩემპიონთა თასი (23.00), წყალ-სამოტორო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.25), ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. მეოთხედფინალი. პირდაპირი რეპორტაჟი არგენტინიდან (2.25). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლები (11.15, 15.00), ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში (18.15, 3.15). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (17.15). საცხენოსნო სპორტი. ერთენებათა თასი. „სამსუნგი" (0.00).

10 ოქტომბერი, ხუთშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 20.00). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.45). ***НТВ плюс футбол.*** იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.30), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (16.45, 21.05,23.05), „ფუტბოლ მუნდიალი" (18.30, 0.50), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.20. ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. მეოთხედფინალი (11.45, 15.45, 17.30). ჭადრაკი. ვ. კრამნიკი. ჩემპიონი კომპიუტერის წინააღმდეგ (22.45), ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. ვაჟები (23.15). ***EUROSPORT.*** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.30). ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი საგზატკეცილო რბოლაში (15.30, 17.00, 3.15). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (23.00).



# კროსვორდი № 78

1. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთელი, 2. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი კრივში, 3. მილანის თავდამსხმელი, 4. ცნობილი ზანგი გოლფის მოთამაშე, 5. „მეჯიკ" ... 6. 60-80-იანი წლების თბილისის დინამოს ფეხბურთელი, 7. საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალი, 8. 60-იანი წლების თბილისის დინამოს კაპიტანი, 9. ვეტერანი ქართველი მოჭიდავე, 10. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 11. ყველა დროის ნბა-ს საუკეთესო მოთამაშე. 12. პირველი ქართველი ოლიმპიელი ჩემპიონი ძიუდოში, 13. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 14. ვეტერანი ქართველი კალათბურთელი, 15. წარსულში ცნობილი იუგოსლაველი კალათბურთელი, 16. მსოფლიო რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში, 17. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთელი, 18. 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ას მეტრზე სირბილში, 19. საქართველოს საუკუნის სპორტსმენი კაცი, 20. ქართველი მსოფლიო ჩემპიონი კრივში.

*შეადგინა თემურ დარჩიამ (თბილისი).*

## კროსვორდი №77 პასუხები

თარაზულად: 1. ბაიდარა, 7. მარაო, 8. მალაყი, 9. სტუ, 10. ცირკი, 11. რაი, 12. ხელბურთი, 14. ლოუ, 15. ბადრო, 16. ათენი, 17. პია, 19. კრახი, 20. პერტენავა. შვეულად: 2. ავსტრალია, 3. „არაუ", 4. ლაზიერი, 5. კასკადიორი, 6. წყალბურთი, 12. ხარიხა, 13. თენაძე, 15. ბეკი, 17. პუა, 18. ანა.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. ლიბერევი, 1935 წ.



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კe6 1. ...კe7 2. კd7X.
1. ...ეg7 2. ლd8X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com